

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ალექსანდრე ჩალათაშვილი

**სადესერტო ლიქიორების წარმოება საქართველოში გავრცელებული
სამკურნალო მცენარეების გამოყენებით**

სასურსათო ტექნოლოგიის დოქტორის (0104) აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

თელავი

2018

სამუშაო შესრულებულია სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოფლის მეურნეობისა და ქიმიის დეპარტამენტში

სამეცნიერ ხელმძღვანელ(ებ)ი: ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი მარიამ ხოსიტაშვილი
ტექნიკის აკადემიური დოქტორი მერაბ არძენაძე

შემფასებლები (რეცენზენტები) : 1) ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, ასოც. პროფესორი
დავით აბზიანიძე
2) სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი,
ასოც. პროფესორი
მერაბ ჟღენტი

დაცვა შედგება 2018 წლის „-----“ -----, ----- საათზე
სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს
სხდომაზე: კორპუსი ----- აუდიტორია -----

მისამართი: საქართველო, თელავი, 2200
ქართული უნივერსიტეტის ქუჩა N 1
ტელ: +995 250 27 24 01

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიბლიოთეკაში და ვებ-გვერდზე: <http://tesau.edu.ge>

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი:

პროფ. მ. კვეციანი

სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა. სასმელების წარმოების მსოფლიო პრაქტიკა და მეცნიერული აღმოჩენები, ტექნოლოგიაში ახალი ნაბიჯების გადადგმის და სიახლის ძიების ინტერესს კიდევ უფრო ამძაფრებს. იქმნება ახალი სასმელები, იხვეწება ტექნოლოგიები, იკვლევენ სასმელების დადებით და უარყოფით მხარეებს, იქმნება თეორიები, რომლებიც მტკიცდება პრაქტიკული სამუშაოებით. საკვლევი ობიექტების სიმრავლიდან გამომდინარე მეცნიერთა დიდი ჯგუფები დაუღალავად შრომობს და ქმნიან ახალ სასმელებს, საუკეთესო თვისებებით და ქიმიური თუ ორგანოლექტიკური მახასიათებლებით.

ხალხური მედიცინა, რომელსაც საფუძვლად უდევს მცენარეების გამოყენება სამკურნალოდ, სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება, მით უმეტეს, რომ საქართველო მდიდარია ხილ-კენკროვანი და ბალახოვანი მცენარეებით, რომლებიც გამოირჩევა სამკურნალო თვისებებით.

მცენარის სამკურნალო დანიშნულებით გამოყენებას უმთავრესად მასში არსებული მოქმედი (ბიოლოგიურად აქტიური) ნივთიერებები განაპირობებენ, ალკალოიდები, გლიკოზიდები, საპონინები, ეთერზეთები, გუმფისები, ფისები, ლორწო, ვიტამინები, ფიტონციდები და სხვა, რომლებიც გარკვეულ ზეგავლენას ახდენენ ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიურ პროცესებზე და სხვადასხვა დაავადების გამომწვევ მიკრობებზე. მეცნიერები უსოვარი დროიდან არიან ჩართულები მცენარეებისაგან სამკურნალო საშუალებების დამზადებაში. ამ კუთხით გამორჩეულია ეგვიპტე, ჩინეთი, ინდოეთი, საბერძნეთი და სხვა უძველესი ცივილიზაციები. ჯერ კიდევ ჩვენს წელთ აღრიცხვამდე საბერძნეთში და ეგვიპტეში აღმოაჩინეს გამოხდის მეთოდი, რამაც საშუალება მისცათ მაშინდელ მეცნიერებს მცენარეებიდან მიეღოთ სხვადასხვა სამკურნალო ნივთიერებები, შეექმნათ ნაყენები და მათგან დაემზადებინათ ალკოჰოლური თუ უალკოჰოლო სასმელები. ნაყენების გამოყენებით მსოფლიოში დღეისათვის მრავალი სადისერტო სასმელები და ლიქიორები იწარმოება.

ნაყენებისაგან დამზადებული ლიქიორის, როგორც ალკოჰოლური სასმელის ჩამოყალიბებაში დიდი ნაბიჯი გადაიდგა მეცხრამეტე საუკუნეში, როცა ლიქიორი აღიარეს და მიიღეს, როგორც ალკოჰოლური სასმელი.

საქართველოში კი ლიქიორის წარმოებას არ ექცევა სათანადო ყურადღება მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ბუნება მდიდარია ლიქიორის წარმოების სანედლეულო ბაზით - ბალახოვანი და ხილ-კენკროვანი მცენარეებით. აღნიშნულიდან გამომდინარე სადისერტო ლიქიორების წარმოება საქართველოში გავრცელებული სამკურნალო მცენარეების გამოყენებით მეტად აქტუალურ საკითხს წარმოადგენს.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველი ზოგიერთი მცენარის გამოკვლევა, ზაფრანასა და ქონდარში შემავალი კაროტინოიდული ბუნების გლიკოზიდ პროტოკროცინისა და მისი დაშლის შედეგად მიღებული ნივთიერებების: კროცინის,

პიკროკოკონისა და საფრონალის შემცველი ნაყენების მიღება და გამოყენება მატონიზირებელი, სადესერტო ლიქიორის წარმოებაში. ნაშრომში გამოკვლეულია ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველი ზოგიერთი მცენარე: ქაცვი (კაროტინების შემცველობაზე), შავნაყოფა კუნელი (ანტოციანების შემცველობაზე), ხურმა და მისგან მიღებული გლუკო-ფრუქტოზული დამატკბობელი და ხურმის კონცენტრატი (ნახშირწყლების შემცველობაზე). შესწავლილია ხურმის ბუნებრივი ნახშირწყლების შემადგენლობა მასში მათი დაგროვების დინამიკა და კონცენტრატებში გადასვლის პირობები; დადგენილია ზაფრანის, ქონდარის, ქაცვისა და შავნაყოფა კუნელის კრეფის ვადები და მათგან სპირტული ნაყენების დამზადების ტექნოლოგია.

კვლევის ამოცანები:

- საქართველოში გავრცელებული სამკურნალო მცენარეების (ზაფრანა, ქონდარი, ასკილის ყვავილი, შავნაყოფა კუნელი და ხურმა) მოკვლევა, მათში შემავალი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების რაოდენობრივი და თვისობრივი შედგენილობის შესწავლა;
- სპირტწყლიან ხსნარებში სპირტშემცველობის, დაყოვნების დროისა და ტემპერატურული რეჟიმის გავლენის დადგენა მცენარული სასარგებლო ნივთიერებების ექსტრაქტებში გადასვლასთან დაკავშირებით;
- სადესერტო ლიქიორის გაკეთილშობილებისათვის (ორგანული მჟავები, შაქრის, ფერის მახასიათებლები და გემოსა და არომატის მომცემი) მცენარული და ხილ-კენკროვანი ნაყენების, ხურმის ბუნებრივი დამატკბობლისა და მათ ბაზაზე სადესერტო ლიქიორის დამზადების ტექნოლოგიის შემუშავება.

ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს ის, რომ ჩვენს მიერ **პირველად** შესწავლილია საქართველოში გავრცელებული სამკურნალო მცენარეების (ზაფრანა, ქონდარი, ქაცვი, ასკილის ყვავილი, ხურმა და შავნაყოფა კუნელი) სამეურნეო ტექნოლოგიური მონაცემები; დადგინდა მათი კრეფის ვადები მათში არსებული ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველობის მიხედვით; აღნიშნული მცენარეებისაგან სპირტწყლიანი ნაყენების დამზადების ოპტიმალური ფიზიკური და ქიმიური პირობები, შემუშავდა სადესერტო ლიქიორის „პიკანტური“ დამზადების ტექნოლოგია და რეცეპტურა.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა. ნაშრომში წარმოდგენილია თანამედროვე ქიმიური კვლევების შედეგად მცენარული ნაყენების გამოყენებით სადესერტო ლიქიორის „პიკანტურის“ დამზადების ტექნოლოგია. სადესერტო ლიქიორის „პიკანტურის“ წარმოება საქართველოში გაზრდის ალკოჰოლური სასმელების, მათ შორის ლიქიორების ასორტიმენტს, რაც ხელს შეუწყობს მათ რეალიზაციას და მოგებას მოუტანს მწარმოებელს.

აპრობაცია. სამეცნიერო - კვლევითი სამუშაოების შედეგები ყოველწლიურად (2015 - 2018) წარდგენილ იქნა და იხილებოდა იაკობ გოგებაშვილის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებზე.

პუბლიკაცია. დისერტანტს გამოქვეყნებული აქვს 8 სამეცნიერო შრომა ადგილობრივ და საერთაშორისო გამომცემლობებში. მათ შორის სადისერტაციო ნაშრომის ძირითად შედეგებზე გამოქვეყნებულია 3 სამეცნიერო ნაშრომი.

სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა

სადისერტაციო ნაშრომი შედგება: სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი დახასიათების, ლიტერატურის მიმოხილვის, ექსპერიმენტული ნაწილის, დასკვნების და დანართებისგან. სადისერტაციო ნაშრომი განთავსებულია 156 გვერდზე. შეიცავს 36 ცხრილს, 10 ქრომატოგრამას, 20 დიაგრამას, 5 სურათს, 6 სქემას. გამოყენებული ლიტერატურის სია მოიცავს 177 ერთეულს.

სადისერტო ლიქიორების წარმოება საქართველოში გავრცელებული ზოგიერთი

სამკურნალო მცენარეების გამოყენებით


საქართველოში გავრცელებული ზაფრანის ყვავილის

ფიზიკური და ქიმიური შედგენილობის შესწავლა

ზაფრანა (Crocus) მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეთა გვარია ზამზახისებრთა ოჯახიდან. საქართველოში ზაფრანის მხოლოდ 5 სახეობა გვხვდება, ძირითადად ალპურ ზონაში.

ზაფრანას მრავალმხრივი გამოყენება აქვს კვების მრეწველობაში - სასმელების წარმოებაში - არომატისა და ფერის მისაღებად. ხალხურ მედიცინაში სამკურნალო თვისებების გამო, კოსმეტიკაში ბალზამების დასამზადებლად და სხვა.

ზაფრანას ყვავილები შეიცავენ მოყვითალო, სასიამოვნო არომატის ეთერზეთებს, კაროტინოიდებს, პროტოკროცინს, მათი გარდაქმნის პროდუქტებს



ნახ. 1 გლუკოზიდ პროტოკროცინის გარდაქმნა მარტივ გლუკოზიდებად - კროცინად და პიკროკროცინად

და სხვა. აღნიშნული ზაფრანის უნიკალურ სამკურნალო თვისებები, განაპირობებს მასში არსებული ქიმიური ნივთიერებები, რომელთა თვისებები და რაოდენობები მცენარის ზრდასთან და შემდგომ გაშრობა-გახმობასთან ერთად იცვლება. მასში შემავალი კაროტინოიდული ბუნების გლიკოზიდი - პროტოკროცინი ნედლეულ მცენარეში გვხვდება, რომელიც მცენარის გახმობასთან ერთად იშლება შედარებით მარტივ გლიკოზიდებად - კროცინად და პიკროცინად (პიკროკროცინად) (იხ. ნახ 1).

ზაფრანის კრეფის ვადების დადგენა მასში პროტოკროცინის შემცველობის მიხედვით

ზაფრანის მზა პროდუქტის ქიმიური შედგენილობა მისი ვეგეტაციის პერიოდზე, კრეფის ვადებსა და მის შენახვა - გადამუშავებაზე დამოკიდებულია.

იმის დასადგენად, თუ რა პერიოდში გროვდება ზაფრანში ჩვენთვის საინტერესო ნაერთი პროტოკროცინი, რომლის დაშლის შედეგადაც მიიღება სხვადასხვა მნიშვნელოვანი ნივთიერებები. 2015, 2016, 2017 წლებში აღებულ ყვავილებში განისაზღვრა ნივთიერება პროტოკროცინი.

აღებულ ნიმუშებში ანალიზის სპექტროფოტომეტრული მეთოდით განისაზღვრა პროტოკროცინის შემცველობა. ანალიზის სამი წლის შედეგები იმერეთის, ქართლისა (თბილისის შემოგარენი) და გურია-სამეგრელოს რეგიონებში მოცემულია ცხრილებში 1. პროტოკროცინის დაგროვება (მისი სინთეზი) და მისი შემდგომი გარდაქმნა დიდადაა დამოკიდებული გარემო ფაქტორებზე და კლიმატურ პირობებზე, პროტოკროცინის დაგროვებისა და მისი გარდაქმნის პერიოდი სხვადასხვა წლებში (2015, 2016, 2017) სხვადასხვაა. მისი რაოდენობა მცენარეში იცვლება ტემპერატურის მიხედვით.

ცხრილი 1

საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მოზარდი ზაფრანის ყვავილში პროტოკროცინის დაგროვების დინამიკა, მგ/100გ

ზაფრანის ყვავილი	პროტოკროცინი, მგ/100გ		
	2015	2016	2017
გურია -სამეგრელო			
ივლისი	573,7	579,2	598,3
აგვისტო	535,6	532,5	549,7
სექტემბერი	504,2	509,6	511,9
იმერეთი			
ივლისი	601,4	612,9	603,5
აგვისტო	573,6	579,9	568,1
სექტემბერი	522,2	527,8	529,6

ქართლი, თბილისის შემოგარენი			
ივლისი	584,6	591,4	589,8
აგვისტო	545,5	547,2	569,2
სექტემბერი	503,3	519,1	528,5

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2015 წელს ივლისის თვეში, იმერეთის რეგიონში მოზარდ ზაფრანის ყვავილში დაფიქსირდა 601,4 მგ/100გ პროტოკროცინი, რაც 27,7 მგ/100გ-ით მეტია გურია სამეგრელოში იმავე პერიოდში მოკრეფილ ზაფრანის ყვავილში არსებულ პროტოკროცინზე და 16,8 მგ/100გ-ით მეტი ვიდრე ქართლში. ჩვენს მიერ ჩატარებული ანალიზებით ჩანს რომ ზაფრანის ყვავილში შედარებით მეტი რაოდენობის პროტოკროცინი სხვა რეგიონებთან შედარებით გროვდება იმერეთის რეგიონში ივლისის თვეში.

ჩვენი კვლევის შემდგომ მიზანს წარმოადგენდა განგვესაზღვრა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში (გურია-სამეგრელო, იმერეთი და ქართლი) 2017 წლის ივლისის თვეში ზაფრანის ყვავილში პროტოკროცინის შემცველობა, თვის სხვადასხვა პერიოდში. როგორც კვლევებიდან ჩანს, გურია-სამეგრელოში ივლისის თვეში პროტოკროცინის რაოდენობა თვის დასაწყისიდან დასასრულამდე 72,5 მგ/100გ-ით გაიზარდა, იმერეთის რეგიონში 61,4 მგ/100გ-ით, ხოლო ქართლში ამ მაჩვენებელმა 70,3 მგ/100გ შეადგინა. მიუხედავად იმისა, რომ თვის განმავლობაში ყველაზე მეტი მატება გურია-სამეგრელოს რეგიონში დაფიქსირდა, პროტოკროცინის საერთო რაოდენობით იმერეთის რეგიონი გამოირჩევა, სადაც პროტოკროცინის საერთო რაოდენობა ქართლის რეგიონთან შედარებით თვის ბოლოს 13,6 მგ/100გ-ით მეტია, ხოლო გურია სამეგრელოს რეგიონთან შედარებით 5,2 მგ/100გ.

პროტოკროცინის გარდაქმნის დინამიკა ზაფრანის ყვავილში, მისი შენახვის პროცესში

ზაფრანის ყვავილის გამოშრობის დროს, მასში არსებული კაროტინოიდული ბუნების გლიკოზიდი პროტოკროცინი გარდაიქმნება უფრო მარტივ გლიკოზიდებად, კროცინად და პიკროკროცინად. ეს პროცესი ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, რადგან კროცინი და პიკროკროცინი ხასიათდებიან მაღალი ბიოლოგიური აქტიურობით და სწორედ კროცინის რაოდენობა განაპირობებს ზაფრანის ხარისხს. პიკროკროცინის ჰიდროლიზის შედეგად მიღებული საფრონალი კი იცავს ადამიანს ინფექტისგანს.

ჩვენს მიზანს წარმოადგენდა დაგვედგინა თუ რა დროა საჭირო იმისათვის, რომ პროტოკროცინისგან მცენარეში სინთეზირდეს კროცინი და პიკროკროცინი. მიუხედავად იმისა, რომ ეს პროცესი კარგად შესწავლილი არ არის შესაძლებელია იმის დადგენა, თუ რა პერიოდია საჭირო იმისათვის, რომ მაქსიმალურად მოხდეს კროცინისა და პიკროკროცინის დაგროვება.

კვლევებიდან აღმოჩნდა, რომ ზაფრანის ყვავილში არსებული პროტოკროცინი 6 თვის განმავლობაში 520,4 მგ/100გ გარდაიქმნა კროცინად, პოკროკროცინად და საფრონალად.

მცენარეული ნედლეულიდან ნაყენში კროცინის გადასვლის


ოპტიმალური პირობების გამოკვლევა

იმის დასადგენად, თუ რა პირობებში გადადის ნედლეულიდან ნაყენების დასამზადებლად სპირტწყლიან ნაყენში ჩვენთვის საინტერესო კომპონენტები, გამოვიყენეთ ნედლეულის გადამუშავებისა და მომზადების სხვადასხვა მეთოდები, კერძოდ: ნედლეულის შრობის პირობები, დაქუცმაცების ხარისხი, სპირტწყლიან ხსნარებში სპირტის შემცველობის მოცულობითი პროცენტი, სპირტწყლიან ხსნარებზე ნედლეულის დაყოვნების დრო, ტემპერატურა, განათებულობა და სხვა. გადამუშავება ვაწარმოეთ ნედლეულის სხვადასხვა ზომით დაქუცმაცების მიხედვითა და სხვადასხვა რეჟიმზე გამომშობით. კერძოდ, ნედლეულის დაქუცმაცება ვაწარმოეთ სხვადასხვა - 0,5; 1,0; 1,5; 2,0 მმ ზომის ნაწილაკებად, ხოლო გამომშობას ვაწარმოებდით ოთახის ტემპერატურაზე 6 თვის განმავლობაში. ექსტრაქციის პროცესმა გვიჩვენა, რომ საუკეთესო შედეგი ჰქონდა იმ ნაყენებს, რომლებიც მომზადებული იყო 1,0 - 1,5 მმ ზომის ნაწილებად დაქუცმაცებული ნედლეულით. შემდეგ ეტაპზე საჭირო იყო შეგვესწავლა საექსტრაქციო სპირტწყლიან ხსნარებში სპირტის კონცენტრაციის ოპტიმალური რაოდენობა: სხვადასხვა სპირტშემცველობის (24%, 40%, 60%) ნაყენის დამზადება.

ნედლეულიდან სასურველი კომპონენტის ექსტრაქციაზე გავლენას ახდენს ნაყენის დაყოვნების ტემპერატურა. ნაყენების დაყოვნების ოპტიმალური ტემპერატურის დასადგენად მოვახდინეთ ნაყენების დაყოვნება 10 °C, 20 °C და 30 °C ტემპერატურაზე. ექსტრაქციის პროცესზე გავლენას ახდენს ნედლეულის სპირტწყლიან ხსნარებზე დაყოვნების დრო, აქედან გამომდინარე დაყოვნება მოვახდინეთ 2, 3 და 4 კვირის განმავლობაში. ექსტრაქციის პროცესზე სპირტწყლიანი ხსნარის სპირტშემცველობის გავლენის გამოსარკვევად ნაყენები დავამზადეთ 1:10, 1:15, 1:20 და 1:40 თანაფარდობით.

ზაფრანის ყვავილებიდან ექსტრაქტის მიღების ოპტიმალური პირობების დადგენა და ნაყენში კროცინის გამოკვლევა

ჰაერმშრალი ნედლეულიდან კროცინის გამოწვლილვისათვის, სხვადასხვა ვარიანტით დაყენებული სპირტული ნაყენები მოვხსენით შროტიდან (დაქუცმაცებული ნედლეულიდან) და ჩავუტარეთ ქიმიური ანალიზი. საკვლევ ნიმუშებში კროცინის რაოდენობრივი შედგენილობა განისაზღვრა სპექტროფოტომეტრული და მაღალმგრძნობიარე სითხური ქრომატოგრაფიული მეთოდით. სპექტროფოტომეტრის საშუალებით ყველა სპირტშემცველობის,



დიაგრამა 1. ოთახის ტემპერატურაზე სხვადასხვა დროითა და სხვადასხვა მცენარიდან კროცინის რაოდენობის ცვლილება 20% სპირტმცველობის ნაყენში

დაყოვნების სხვადასხვა პერიოდისა და დაყოვნების სხვადასხვა ტემპერატურის მცენარულ (ზაფრანის, ასკილის ყვავილის, ქონდრისა და ქაცვის) ნაყენებში გლორიას მეთოდით, განსაზღვრული და გაანგარიშებული იქნა კროცინის რაოდენობა, მგ/ლ. სხვადასხვა მცენარის ნედლეულიდან 20%-იან სპირტულ ნაყენში კროცინის რაოდენობის გადმოსვლა ოთახის ტემპერატურაზე 14, 21 და 28 დღიანი დაყოვნებით მოცემულია ცხრილში 2 და დიაგრამაზე 1.

როგორც ცხრილიდან 2 და დიაგრამიდან 1 ჩანს 20%-იანი სპირტმცველობის სპირტწყლიანმა ხსნარმა 20 °C-ზე დაყოვნებით ყველა ნედლეულიდან გაზარდა კროცინის რაოდენობა ნაყენში. მაგ. ზაფრანის ყვავილიდან (14 დღიდან 28 დღემდე) კროცინის რაოდენობა ნაყენში გაიზარდა

ცხრილი 2

კროცინის რაოდენობაზე დაყოვნების ხანგრძლივობის გავლენა, ოთახის პემპერატურაზე, 20 მოც. %-იან სპირტწყალხსნარში.

მცენარული ნედლეული	კროცინი, მგ/ლ		
	დღეები		
	14	21	28
ზაფრანის ყვავილი	155,10	160,30	162,55
ასკილის ყვავილი	88,00	91,50	92,10
ქაცვის ნაყოფი	1,50	2,40	2,90
ქონდარის მიწისზედა ნაწილი	37,10	38,80	39,45

7,45 მგ/ლ-ით. 21 დღემდე დაყოვნებით გაიზარდა 5,2 მგ/ლ-ით, კროცინის რაოდენობის სხვაობა 28 და 21 დღეს შორის შეადგენდა 2,25 მგ/ლ შემდეგ კი მისი რაოდენობა მცირდება. კროცინის ნაყენში 7 დღის განმავლობაში 2,25 მგ/ლ-ით მატება მცირეა და ამიტომ ნაყენის დაყოვნების ოპტიმალურ ხანგრძლივობად შევარჩიეთ 21 დღე. ანალოგიური დამოკიდებულება შეიმჩნევა სხვა მცენარეებიდან კროცინის ნაყენში გადმოსვლაზე.

ჩანს ყველა მოცემული ნედლეულიდან სხვადასხვა სპირტშემცველობის (10%, 20%, 40%, 50%) სპირტწყლიან ნაყენებში გაიზარდა კროცინის გამოწვლილვა დაყოვნების დღეების ზრდის შესაბამისად. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 20%-იან სპირტწყლიან ნაყენში ყველა სხვა სპირტშემცველობასთან შედარებით გაიზარდა კროცინის შემცველობა დაყოვნების დროის ზრდის შესაბამისად. მაგალითად: ზაფრანის ყვავილში 14 დღიან სპირტულ ნაყენში კროცინის შემცველობა შეადგენდა 155,10 მგ/ლ 21 დღით დაყოვნების შემდეგ მისი რაოდენობა გაიზარდა 160,30 მგ/ლ-მდე, ხოლო 28 დღიან ნაყენში მისმა რაოდენობამ შეადგინა 162,55 მგ/ლ. კროცინის რაოდენობამ 28 დღიან ნაყენში 14 დღიან ნაყენთან შედარებით მოიმატა 7,45 მგ/ლ-ით. აღსანიშნავია, რომ კროცინის რაოდენობის ინტენსიური გადმოსვლა გრძელდება 21 დღემდე, ხოლო 21 და 28 დღის ჩათვლით მისი რაოდენობა მხოლოდ 1,0-დან 2,0 მგ/ლ-მდე მატულობს. ამავე დროს აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 40 და 50%-იანი სპირტშემცველობის ნაყენები ხასიათდებოდა შესაბამისი ყვავილის მომწვლარტო გემოთი, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს იმით, რომ მაღალმა სპირტშემცველობამ მოახდინა კროცინის გარდა სხვა ნივთიერებების გამოწვლილვა შედარებით ჭარბი რაოდენობით, რამაც ნაყენს შემატა მომწვლარტო გემო. აღნიშნული შედეგების შეჯამებით ჩვენ შევჩერდით ნედლეულზე სპირტწყლიანი ხსნარის 21 დღით დაყოვნებაზე. გამოწვლის წარმოადგენდა ასკილის ყვავილი, რომელიც არ ხასიათდებოდა ძლიერი სიმწვლარტით და ხასიათდებოდა კროცინის ზრდით, ასკილის ყვავილიდან ნაყენში კროცინის გადმოსვლის ოპტიმალურ პერიოდს შეადგენდა 28 დღე.

ცდები ჩატარდა აგრეთვე სხვადასხვა მცენარეულ ნაყენებში კროცინის ოპტიმალური რაოდენობის გადმოსვლის დასადგენად სხვადასხვა სპირტშემცველობისა და სხვადასხვა ტემპერატურის პირობებში. ცდებიდან დადგინდა, რომ უკეთესია ავიღოთ დაყოვნების ტემპერატურა 20 °C.

კვლევების შედეგად ჩანს ნაყენში 20 %-იანმა სპირტულმა ნაყენმა მოგვცა უკეთესი შედეგი. ნაყენში გაიზარდა კროცინის შემცველობაც და მისი გემო და არომატი, ეს უკანასკნელი გამოწვეული უნდა იყოს იმით, რომ რიბერო-გაიონისა და სხვათა მონაცემებით 20%-ზე მეტი სპირტშემცველობა იწვევს არომატული კომპონენტების დაშლას და გარდაქმნას, რაც აისახება არომატზეც და გემოზეც.

მიღებული პარამეტრების შერჩევით ზაფრანისა და სხვა მცენარეების ნაყენიდან დამზადდა ლიქიორი. ლაბორატორიული სადეგუსტაციო მონაცემებით ლიქიორი იყო უხალისო და მძაფრად გამოირჩეოდა ზაფრანის გემო და არომატი. აღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენ შევეცადეთ ლიქიორისათვის მოგვეძებნა ისეთი მცენარეული ნაყენები, რომლებიც შეიტანდა ლიქიორში,

როგორც ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს, ასევე გააუმჯობესებდა მის გემოს და შეთანწყობილი იქნებოდა არომატთან. ასეთ მცენარეებად ჩვენს მიერ შერჩეულ იქნა კროცინისშემცველი მცენარეები (ქონდარი, ქაცვი), ლიქიორის ფერის ბუნებრივი ფერის მისაღებად გამოყენებულ იქნა შავნაყოფა კუნელი, ხოლო ბუნებრივ დამატკბობლად კი გამოვიყენეთ საქართველოში ფართოდ გავრცელებული და ჯერჯერობით წარმოებაში ნაკლებად გამოყენებული ხურმის ნაყოფიდან მიღებული შაქარი. ჩამოთვლილ მცენარეებიდან დამზადებული იქნა სპირტწყლიანი ნაყენები, რომელიც შეტანილი იქნა ლიქიორის დამზადების კუპაჟში.

ქონდრის, ქაცვისა და კუნელის კრეფის ვადების დადგენა მათში

პროტოკროცინის შემცველობის მიხედვით

ქონდარი ერთწლიანი სურნელოვანი ბალახია. მას დიდი გამოყენება აქვს სხვადასხვა ქვეყნის სამზარეულოში, როგორც სანელებელი, რადგან ის გამოირჩევა სპეციფიკური გემოთი და არომატით. ექსპერიმენტით დადგინდა, რომ ივნისის თვის დასაწყისში კახეთის რეგიონში მოზარდ ქონდარში პროტოკროცინის შემცველობა 94,7 მგ/100 გ იყო, თვის ბოლოს კი მატებამ 74,7 მგ/100 გ შეადგინა. იმერეთის რეგიონში თვის დასაწყისიდან თვის დასასრულამდე პროტოკროცინის რაოდენობამ 67,8 მგ/100 გ-ით მოიმატა, ხოლო ქართლში ამ მაჩვენებელმა 63,7 მგ/100 გ შეადგინა. ჰაერმშრალ ნედლეულში ზოგიერთი ნივთიერების რაოდენობა განვსაზღვრეთ სპექტროფოტომეტრული მეთოდის საშუალებით. პროტოკროცინის რაოდენობა გამოშრობის პროცესის დაწყებიდან 6 თვის შემდეგ 136,5 მგ/100 გ - ით შემცირდა. პროტოკროცინის ყველაზე უფრო აქტიური დაშლა შეინიშნებოდა მე-3, მე-4 თვეებში. კროცინის რაოდენობა 6 თვის განმავლობაში 19,4 მგ/100 გ - ით გაიზარდა, პიკოკროცინის რაოდენობა 108,7 მგ/100 გ - ით, ხოლო საფრონალისა 10,4 მგ/100 გ - ით.

ლიქიორში გარდა პროტოკროცინისა და მისი დაშლის პროდუქტებისა, შეტანილი იქნა აგრეთვე კაროტინის შემცველი ქაცვისა და ანტოციანების შემცველი შავნაყოფა კუნელის ნაყენები. ქაცვის ნაყოფში კაროტინის განსაზღვრით დადგინდა, რომ მასში კაროტინის შემცველობა მატულობს დამწიფების პერიოდის შესაბამისად. ქაცვის ნაყოფიდან სპირტწყლიან ხსნარში კაროტინის გადასვლა გაცილებით დაბალია დაბალ ტემპერატურაზე. შერჩეულ იქნა კაროტინოიდების რაოდენობით მდიდარი ნაყენის წარმოების ოპტიმალური პირობები.

იმის დასადგენად, თუ როდის ხდება კუნელში ანტოციანების მაქსიმალურად მეტი რაოდენობით დაგროვება, ანტოციანების განსაზღვრას ვაწარმოებდით ოქტომბერ-ნოემბერში ათდღიანი შუალედით. საექსტრაქციოდ ვიყენებდით 96 %-იან ეთილის რექტიფიცირებულ სპირტს. ანალიზის სპექტროფოტომეტრული მეთოდით დადგინდა, რომ ანტოციანების აქტიური მატება ხდება ოქტომბრის ბოლოს, თვის დასაწყისიდან თვის ბოლომდე მისი მატება 134,1 მგ/100გ შეადგენს. შავნაყოფა კუნელის ნაყოფიდან ნაყენში

ანტოციანები ინტენსიურად გადადის 28 დღის განმავლობაში 20 °C ტემპერატურაზე, 20 მოც. % სპირტწყლიან ხსნარში.

დადგინდა აგრეთვე ასკილის ყვავილის სპირტული ნაყენების მიღების ოპტიმალური პირობები. ასკილის ყვავილის სპირტწყლიან ნაყენებს ვიყენებთ ლიქიორში სურნელის გასახალისებლად.

ხურმის ნაყოფიდან ბუნებრივი დამატკობლის მიღება და გამოყენება ლიქიორის წარმოებაში

ჩვენი კვლევის შემდეგ მიზანს წარმოადგენდა ხურმის ნაყოფებიდან სხვადასხვა ტექნოლოგიური ხერხით გლუკოზისა და ფრუქტოზის მაღალი შემცველობის ნატურალური კონცენტრირებული წვენის (ხილის სიროფის) მიღება, მისი ქიმიური დახასიათება და გამოყენება ლიქიორების წარმოებაში. ექსპერიმენტით სხვადასხვა ტექნოლოგიური სქემებით დამუშავებით მიღებულ იქნა ხურმის წვენის სხვადასხვა ვარიანტები. ყველა ჩამოთვლილ ნიმუშში განსაზღვრული იქნა წვენის გამოსავლიანობა, მშრალი ნივთიერებისა და ტენის შემცველობა, საერთო მჟავიანობა, შაქრები (საქაროზა, გლუკოზა, ფრუქტოზა სითხური ქრომატოგრაფიით და ფენოლური ნაერთები (პოლიფენოლები, მათ შორის მთრიმლავი ნივთიერებები თავისუფალი, ადსორბირებული და შეკავშირებული). მიღებულ ნიმუშებს ჩაუტარდა ფიზიკური და ქიმიური ანალიზები, რომლის შედეგები მოცემულია ცხრილში 3.

ცხრილი 3

ხურმის კონცენტრატების ქიმიური და ორგანოლეპტიკური მაჩვენებლები

მაჩვენებლის დასახელება	გლუკოზო-ფრუქტოზული სიროფი (ნიმუში: ხურმა 2)	ხურმის კონცენტრირებული ექსტრაქტი (ნიმუში: ხურმა 6)	ხურმის კონცენტრირებული წვენი (ნიმუში 4)
მშრალი ნივთიერების შემცველობა (რეფრ.) %	55,12	40,22	63,73
ტიტრული მჟავიანობა, %	0,18	0,15	0,12
pH	5,11	4,82	4,92
შაქრების საერთო შემცველობა	52,28	36,68	58,61
გლუკოზა	33,13	20,96	31,76
ფრუქტოზა	19,12	13,55	22,41
საქაროზა	0,039	2,18	4,44
მთრიმლავი ნივთიერებები	0,085	0,45	1,62
ანტიოქსიდანტური აქტივობა (DPPH, რადიკალის 50 %-იანი ინჰიბირება	2	3,5	6,0


ფერი	ღია	ყავისფერი	ღია ყავისფერი რუხი ელფერით
	ჩალისფერი		
გემო	არამწკლარტე, ტკბილი	ტკბილი, მწკლარტე	უხეში მწკლარტე, ტკბილი
არომატი	არ არის გამოკვეთილი	ხურმისათვის დამახასიათებელი	ხურმისათვის დამახასიათებელი, მკვეთრი
გარეგანი სახე	გამჭვირვალე, ნალექის გარეშე	გამჭვირვალე, ნალექის გარეშე	მღვრიე, გაუმჭვირვალე
კონსისტენცია	თხევადი, შესქელებული	თხევადი, შესქელებული	თხევადი, შესქელებული

ჩატარებული ტექნოლოგიური და ქიმიური კვლევები გვიჩვენებს, რომ ერთი და იგივე მწკლარტე ჯიშის ნაყოფიდან მიიღება სხვადასხვა ანტიოქსიდანტობის, ქიმიური მაჩვენებლებისა და ოგანოლეპტიკური მახასიათებლების მქონე კონცენტრირებული წვენები.

ხურმის გლუკო-ფრუქტოზული სიროფი (სითხურად დამშავებული) გამოირჩევა შქრების მაღალი შემცველობით (გლუკოზისა და ფრუქტოზის სახით), არა აქვს ხურმისათვის დამახასიათებელი მომწკლარტო გემო და არომატი, გამჭვირველა და შესაძლებელია მისი გამოყენება (როგორც ბუნებრივი დამატკობელი) ლიქიორების დასამზადებლად.

საცდელ ნიმუშებში სითხური ქრომატოგრაფით განისაზღვრა შაქრების თვისობრივი და რაოდენობრივი შედგენილობა. წყალში ხსნად მშრალ ნივთიერებებში საერთო შაქრების წილი ყველაზე მაღალია სხვა ნიმუშებთან შედარებით. მიღებულ კონცენტრატში (ნიმუში 2) შაქრების საერთო რაოდენობა წარმოდგენილია 94 %-ით, რომელშიც გლუკოზის, ფრუქტოზისა და საქაროზის ჯამი შეადგენს 52,29 %-ს, რომელშიც საქაროზა წარმოდგენილია 0,39 %-ით და მასასადამე გლუკოზისა და ფრუქტოზის წილი ჯამურ 52,29 %-ში წარმოადგენს 99%-ს. ნიმუშში 4 გლუკოზისა და ფრუქტოზის ჯამი წარმოდგენილი საერთო შაქრების 91 %-დან 84 %-ია; ხოლო ნიმუშში 6 ეს მაჩვენებლები წარმოდგენილი შაქრების საერთო რაოდენობის 91%-დან გლუკოზისა და ფრუქტოზის ჯამი 85%-ია.

ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ხურმის დაქუცმაცებული მასის თხური დამუშავების დროს მიმდინარეობს ხსნადი პოლიფენოლური ნაერთების შეკავშირება პექტინოვან და ცილოვან ნაერთებთან, რომლის მიხედვითაც წვენისა და კონცენტრატის სპირტით დამუშავების დროს წარმოიქმნება და ილექება პექტინოვანი და ცილოვანი ნაერთების კომპლექსური ნაერთები, რის შედეგადაც არეში მატულობს შქრების რაოდენობა. ანალოგიური შედეგები იქნა მიღებული ხურმის წვენებში: ნიმუში 1 და ნიმუში 3 იხ. ქრომატოგრამა 1 და ცხრილი 4.



ქრომატოგრამა 1. შაქრის შემცველობა ხურმის წვენში (ნიმუში 2)

ცხრილი 4

ხურმის გლუკოზო-ფრუქტოზულ სიროფში შაქრების შემცველობა (ნიმუში 2)

	Name	Retention Time	Area	% Area	Amount	Units
1	Fructose	3.900	12841991	36.90	19.122	%
2	Glucose	4.398	21782327	62.59	33.129	%
3	Sucrose	5.516	26327	0.08	00.39	%
4		6.426	67788	0.19		
5		7.033	74091	0.21		
6	Total				52.29	%

სხვადასხვა მეთოდით დამუშავების შედეგად მიღებულ ხურმის წვენებსა და კონცენტრატებში დამუშავების მეთოდების მიხედვით იცვლება მთრიმლავი ნივთიერებების რაოდენობები, რასაც ადასტურებს ცხრილში 3 მოტანილი მონაცემები. როგორც ცხრილიდან ჩანს ნიმუშთან 1 შედარებით მატულობს ნარჩენ მასაში (გამონაწიხში) (ცხრილი 3) შეკავშირებული კომპლექსური უხსნადი ნაერთების რაოდენობა(რაც განპირობებულია მეტწილად იმით, რომ ხსნადი პოლიფენოლური ნაერთები კავშირში შედიან პექტინოვან და ცილოვან ნაერთებთან) და ილექებიან. როგორც ცნობილია კონცენტრატის სიმწკლარტის ხარისხს კი განაპირობებს მასში ხსნადი მთრიმლავი ნივთიერებების შემცველობა და რადგან ხსნარში მათი რაოდენობა შემცირდა, შემცირდა კონცენტრატის სიმწკლარტის ხარისხიც. სიმწკლარტის ხარისხის შემცირებას ხელი შეუწყო ამავე დროს ხურმის კონცენტრატის (ნიმუში 2) ეთილის სპირტით დამუშავებამ, რამაც გამოიწვია მისი

დაწმენდა, გამჭვირვალობა. ექსპერიმენტის შედეგებით ხურმის წვენებისა და კონცენტრატების პოლიფენოლური ნაერთები (მთრიმლავი ნივთიერებები) განიცდიან როგორც რაოდენობრივ ისე თვისობრივ ცვალებადობას ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით.

ცხრილი 3

ხურმის წვენსა და კონცენტრატებში მთრიმლავი ნივთიერებების რაოდენობრივი ცვალებადობა

ნიმუშის დასახელება	თავისუფალი	შეკავშირებული	საერთო
ხურმა 1 (წვენი)	0,39		
ხურმა 2(წვენი)	0,086		
ხურმა 3(წვენი)	5,20		
ხურმა 4(წვენი)	2,82		
ხურმა 5(გამონაწენი)	1,85	2,28	4,13
ხურმა 6(კონცენტრირებული ექსტრაქტი)	0,45	0,73	1,18
ხურმა 7 (გამონაწენი)	1,45	1,16	2,61


ლიქიორების წარმოების ტექნოლოგიის შემუშავება მცენარეული ნაყენებისა და ბუნებრივი დამატკობლის გამოყენებით

ჩვენს მიერ შესწავლილი მცენარეული ნედლეული და ხილ-კენკროვნები (ზაფრანის ყვავილი, ქონდრის მიწისზედა ნაწილები, ასკილის ყვავილი, ქაცვი, შავნაყოფა კუნელის ნაყოფი და ხურმა) გამოირჩევიან სწორედ ისეთი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველობით (პროტოკროცინი, კროცინი, პიკროკროცინი, საფრონალი, ანტოციანები, კაროტინი, ნახშირწყლები და სხვა), რომლებიც დადებით გავლენას ახდენენ ადამიანის ჯანმრთელობაზე.

ნაყენების დამზადების ტექნოლოგიის შემუშავება

მცენარეებისა და ხილ-კენკროვნების (ზაფრანის ყვავილი, ქონდრის მიწისზედა ნაწილები, ასკილის ყვავილის, ქაცვი და შავნაყოფა კუნელის ნაყოფების). ნაყენების გამოკვლევის შემდეგ შემუშავებული იქნა მათგან ნაყენების დამზადების ტექნოლოგია და ტექნოლოგიური სქემა. ნაყენების დამზადების ტექნოლოგიური სქემა რამდენიმე ეტაპს ითვალისწინებს. ლიქიორის

დასამზადებლად ზაფრანისა და ქონდრის ნაყენები გვესაჭიროება მასში ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების: პროტოკროცინის, კროცინის, პიკროკროცინისა და საფრონალის შესატანად. ამავე დროს ასკილის ყვავილის ნაყენის ნაზი სურნელოვანი ნივთიერებები მონაწილეობენ ლიქიორის გემოსა და არომატის ჩამოყალიბებაში. ქონდრისა და ზაფრანის ნაყენების შერჩეული კუპაჟი გამოვიკვლიეთ მასში ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების: პროტოკროცინის, კროცინის, პიკროკროცინისა და საფრონალის შემცველობაზე. ანალიზი ჩატარდა მაღალი წნევის ქვეშ მომუშავე სითხურ ქრომატოგრაფზე, რომლის შედეგები მოცემულია ქრომატოგრამაზე 2 და ცხრილში 5.



ქრომატოგრამა 2. ზაფრანისა და ქონდრის ნაყენების შერჩეულ კუპაჟში კროცინის, პიკროკროცინისა და საფრონალის რაოდენობრივი შემცველობა

როგორც ქრომატოგრამიდან 2 და ცხრილიდან 5 ჩანს, ზაფრანისა და ქონდრის ნაყენების შერჩეულ კუპაჟში კროცინის რაოდენობა შეადგენს 43.08 მგ/გ. პიკროკროცინის რაოდენობა შეადგენს 14.75 მგ/გ, ხოლო საფრონალის რაოდენობა წარმოადგენს 9,04 მგ/გ. ზაფრანის, ასკილის ყვავილისა და ქონდრის ნაყენების შერჩეული კუპაჟი დამუშავდა, გაიფილტრა და გამზადდა ლიქიორის კუპაჟში შესატანად. ნაყენების დამზადების წარმოდგენილი ტექნოლოგიური სქემით ჩვენს მიერ დამზადებული იქნა ზაფრანის, ასკილის ყვავილის, ქონდრის, ქაცვისა და კუნელის ნაყენები 20 მოც. % სპირტშემცველობით. ნაყენები გაფილტვრისა და დამუშავების შემდეგ გამზადებული იქნა ლიქიორის „პიკანტურის“ დასამზადებელ კუპაჟში შესატანად.

წინასწარ შესწავლილი იქნა ზაფრანის ყვავილში და მის 20 მოც. % სპირტულ ნაყენში პროტოკროცინის, კროცინის, პიკროკროცინისა და საფრონალის რაოდენობრივი შემცველობა. ანალიზი ჩატარდა მაღალი წნევის ქვეშ მომუშავე სითხურ ქრომატოგრაფზე.

ცხრილი 5

ზაფრანისა და ქონდრის ნაყენების შერჩეულ კუპაჟში კროცინის, პიკროკროცინისა და საფრანალის რაოდენობრივი შემცველობა

	Name	Retention Time	Area	% Area	Amount	Units
1		1.929	812266	2.92		
2		2.367	1517450	5.45		
3		5.777	977620	3.51		
4		6.220	131842	0.47		
5		7.253	420434	1.51		
6		7.395	778762	2.80		
7		7.581	334534	1.20		
8		7.873	309986	1.11		
9	Crocin	8.762	11998498	43.08		Mg/g
10		9.285	1021938	3.67		
11	Picrocrocin	9.632	4110799	14.76		Mg/g
12	Saffranal	10.141	2518021	9.04		Mg/g
13		10.691	1121697	4.03		
14		11.560	208276	0.75		
15		11.911	442595	1.59		
16		12.104	722129	2.59		
17		13.032	145114	0.52		
18		16.144	279355	1.00		

ხურმის ნაყოფიდან ბუნებრივი დამატკბობლების მიღების ტექნოლოგიის შემუშავება

ხურმის დამატკბობელი გამოირჩევა შაქრების მაღალი შემცველობით, ძირითადად გლუკოზისა და ფრუქტოზის სახით, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ იგი გამოყენებულ იქნეს, როგორც ლიქიორის ბუნებრივი დამატკბობელი. ხურმის კონცენტრირებული ექსტრაქტი კი გამოირჩევა მთრიმლავი ნივთიერებებისა და შაქრების დაბალანსებული შემცველობითა და კარგი ორგანოლექტიკური მაჩვენებლებით, რის გამოც რეკომენდებულია მისი გამოყენება ლიქიორის დასამზადებლად, როგორც ბუნებრივი ყავისფერი საღებავი და ფენოლური ნაერთებით მდიდარი ინგრედიენტი.


ლიქიორების წარმოების ტექნოლოგიის შემუშავება მცენარეული ნაყენებისა და ბუნებრივი დამატკბობლების გამოყენებით

მცენარეული ნედლეულისა და ხილ-კენკროვნების ნაყენების ბაზაზე ალკოჰოლური სასმელების - ლიქიორების დასამზადებლად გამოვიყენეთ

რექტიფიცირებული სპირტი, დარბილებული წყალი, მცენარეების (ზაფრანა და ქონდარი) დაკუპაჟებული ნაყენი - ლიქიორის არომატისათვის; ქაცვის ნაყენი ბუნებრივი სიმჟავისათვის, ხურმის გლიკო-ფრუქტოზული კონცენტრატი (შაქრის სიროფის ნაცვლად), შავნაყოფა კუნელის ნაყენი - შეფერილობისათვის.

ლიქიორის კუპაჟში შესატანი ნაყენები სასურველი გემოს და არომატის მიღების შემდეგ სტაბილიზაციისათვის დავამუშავეთ (იხ. სქემა 4.1.2), გავფილტრეთ და რეცეპტურის გათვალისწინებით დავაკუპაჟეთ წინასწარ დამუშავებულ სპირტწყალხსნართან - სასურველი სპირტშემცველობის ლიქიორის დასამზადებლად.

მიღებული კუპაჟი ტექნოლოგიურ ინსტრუქციაში გათვალისწინებული დროით დავაყოვნეთ, ჩავუტარეთ კორექტირება, გავფილტრეთ და გავამზადეთ ჩამოსასხმელად. შეფურჩიეთ დასახელება „პიკანტური“, რომელსაც ჩავუტარეთ ორგანოლეპტიკური ანალიზი. სადგენუსტაციო მონაცემებით ლიქიორი „პიკანტური“ იყო მუქი ძოწისფერი, სასიამოვნო გემოთი და არომატით. მიღებულ მზა ლიქიორს ჩაუტარდა ქიმიური ანალიზი. კვლევის მიზანს წარმოადგენდა საცდელი ლიქიორის კუპაჟში შეტანილი ხურმის გლიკო-ფრუქტოზული კონცენტრატის გავლენის გამოკვლევა ლიქიორის შაქარშემცველობაზე და მის გემურ თვისებებზე. საკონტროლოდ კი აღებული გვქონდა ლიქიორი, რომელშიც დამატკბობლად შეტანილი იყო ინვერსიული შაქრის სიროფი. ორივე ნიმუშს ჩაუტარდა ანალიზი შაქრების თვისობრივ და რაოდენობრივ შემცველობაზე. კვლევის შედეგები მოცემულია ქრომატოგრამაზე 3 და ცხრილში 6.




ქრომატოგრამა 3. საცდელ ლიქიორში შაქრების რაოდენობრივი შემცველობა


ცხრილი 6

საცდელ ლიქიორში შაქრების რაოდენობრივი შემცველობა

1	Fructose	3.993	4084721	32.12	10.135	%
2	Glucose	4.469	5675469	44.62	14.385	%
3	Sucrose	5.991	2842073	22.35	7.045	%
4		6.856	116739	0.92		
5	Total				31.565	



სქემა 1. ლიქიორის დამზადების ტექნოლოგიური სქემა



სქემა 2. ლიქიორის დამუშავების ტექნოლოგიური სქემა

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოში გავრცელებული სამკურნალო მცენარეების (ზაფრანა, ქონდარი, ასკილის ყვავილი და სხვა) გამოყენებით სადესერტო ლიქიორის დამზადება, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნებოდა ზაფრანაში, ქონდარში, ქაცვში არსებული ბიოაქტიური ნივთიერებების მოხვედრა ადამიანის ორგანიზმში.

ჩვენი შემდეგი კვლევის მიზანს წარმოადგენდა ზაფრანის, ქაჯვის, ქონდრის, კუნელისა და ხურმის გამოყენებით დამზადებული სადესერტო ლიქიორში ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების კროცინის, პიკროკროცინისა და საფრონალის რაოდენობრივი განსაზღვრა. ანალიზი ჩატარდა სითხური ქრომატოგრაფის გამოყენებით. ანალიზიდან ჩანს, რომ ლიქიორში მოცემულია კროცინი 29,1 მგ/ლ, პიკროკროცინი 14,9 მგ/ლ და საფრონალი 0,9 მგ/ლ, რომელთა რაოდენობები ლიქიორში გადავიდა ზაფრანისა და ქონდრის ნაყენებიდან. აღნიშნულ ნაყენებში კროცინის, პიკროკროცინისა და საფრონალის რაოდენობებიდან ლიქიორში გადავიდა მათი შემცირებული რაოდენობა, რაზეც მეტყველებს ქრომატოგრამა 4.1.1 და ცხრილი 4.1.1. ეს ასეც უნდა იყოს, რადგან ლიქიორის საერთო მოცულობაში შევიდა ზაფრანის ნაყენის 10 %.

დასკვნები

ჩვენს მიერ თანამედროვე კვლევის მეთოდების საფუძველზე პირველად იქნა გამოკვლეული საქართველოში გავრცელებული ზოგიერთი სამკურნალო მცენარეები (ხილ-კენკროვანი და ბალახოვანი) ბიოლოგიურად აქტიურ ნაერთების შემცველობაზე. ერთ ერთ ასეთ ბიოლოგიურად აქტიურ ნაერთს წარმოადგენს კაროტინოიდული ბუნების გლიკოზიდი პროტოკროცინი და მისი დაშლის შედეგად მიღებული მარტივი გლიკოზიდები: კროცინი და პიკროკროცინი. აღნიშნული ნივთიერებები დადებით გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე. კაროტინოიდული ბუნების გლიკოზიდები გვხვდება ისეთ მცენარეებში როგორცაა: ზაფრანა, ქაჯვი, ქონდარი, ასკილის ყვავილი და სხვა.

დადგინდა, რომ:

1. ზაფრანის ყვავილის ქიმიური შედგენილობა (პროტოკროცინი) მისი გავრცელების რეგიონზე, ვეგეტაციის პერიოდზე, კრეფის ვადებსა და მის შენახვა - გადამუშავებაზე დამოკიდებული. სპექტროფოტომეტრული ანალიზით დადგინდა, რომ იმერეთის რეგიონში გავრცელებული ზაფრანა პროტოკროცინის საერთო რაოდენობის შემცველობით საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან გამოირჩევა. პროტოკროცინის საერთო რაოდენობა ქართლის რეგიონთან შედარებით თვის ბოლოს 13,6 მგ/100გ-ით მეტია, ხოლო გურია სამეგრელოს რეგიონთან შედარებით 5,2 მგ/100გ
2. ზაფრანის მოკრეფა ხდება ივლისის ბოლოს ან აგვისტოს პირველ რიცხვებში, ქონდრისა კი ივნისის ბოლოს - ივლისის დასაწყისში. მაშინ, როდესაც ისინი ყველაზე მეტი რაოდენობით შეიცავენ ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებას კაროტინოიდული ბუნების გლიკოზიდს - პროტოკროცინს, რომელიც მცენარის გამრობის პროცესში იშლება

მარტივ გლიკოზიდებად - კროცინად და პიკროკროცინად. მაგ. ზაფრანის ყვავილში არსებული 603,5 მგ/100გ პროტოკროცინი 6 თვის განმავლობაში 520,4 მგ/100გ გარდაიქმნა კროცინად, პიკროკროცინად და საფრონალად, პროტოკროცინი კი დარჩა 83,1 მგ/100გ.

3. ზაფრანის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემადგენელ კომპონენტს წარმოადგენს მარტივი გლიკოზიდი კროცინი, რომელიც სპირტწყლიან ნაყენს აძლევს დამახასიათებელ ფერსა და სასიამოვნო არომატს. გამოკვლეული იქნა (სპექტროფოტომეტრული ანალიზი) ზაფრანის ყვავილებიდან ნაყენში კროცინის გადასვლის ოპტიმალური პირობები. ზაფრანის ყვავილებისა და ქონდრის მიწისზედა ნაწილების კროცინით მდიდარი ნაყენების მიღების ოპტიმალური პარამეტრებია: ნედლეულის დაქუცმაცება 1,0 – 1,5 მმ ზომის ნაწილებად, 20 მოც. %-იანი სპირტწყლიანი ხსნარით ნედლეულის დაყოვნება - ზაფრანა 14 დლით, ქონდარი კი 21 დლით 20 °C ტემპერატურაზე. მაგ. 1.5 მმ ზომის ნაწილებად დაქუცმაცებული ზაფრანის ყვავილებიდან 20 მოც. %-ინი სპირტწყალხსნარით გამოწვლილვისას 20 °C ტემპერატურაზე კროცინის რაოდენობამ მოიმატა 138,3 მგ/ლ-დან 141,20 მგ/ლ-მდე.
4. დადგენილი იქნა ქაცვისა (სექტემბრის მეორე ნახევარი) და შვენაყოფა კუნელის (ოქტომბრის ბოლო - ნოემბრის პირველი ნახევარი) კრეფის ვადები: ქაცვის ნაყოფში კაროტინის (221,7 მგ/100გ) შემცველობით და მისი გადასვლის დინამიკა სპირტწყლიან ნაყენში; შვენაყოფა კუნელში კი ანტოციანების (186,5 მგ/100გ) შემცველობით და მათი გადასვლა სპირტწყლიან ნაყენში.
5. დადგინდა ქაცვისა და შვენაყოფა კუნელის სპირტწყლიანი ნაყენების დამზადების ოპტიმალური პირობები: 20 მოც. % სპირტწყლიანი ხსნარი, 20 °C ტემპერატურა და დაყოვნება 28 დლით.
6. შემუშავებული იქნა ხურმის ნაყოფიდან ბუნებრივი გლუკო-ფრუქტოზული დამატკობლისა და ხურმის კონცენტრატის მიღების ტექნოლოგია. შესწავლილი იქნა დამატკობლისა და კონცენტრატის ქიმიური და ორგანოლექტიკური მაჩვენებლები, სითხური ქრომატოგრაფით განისაზღვრა მათში შაქრების თვისობრივი და რაოდენობრივი შემადგენლობა.
7. მიღებულ კონცენტრატში შაქრების საერთო რაოდენობა წარმოდგენილია 94 %-ით, რომელშიც გლუკოზის, ფრუქტოზისა და საქაროზის ჯამი შეადგენს 52,29 %-ს, საქაროზა წარმოდგენილია 0,39 %-ით და მასსადამე გლუკოზისა და ფრუქტოზის წილი ჯამურ 52,29 %-ში

წარმოადგენს 99%-ს. ნიმუშში 4 გლუკოზისა და ფრუქტოზის ჯამი წარმოადგენილია საერთო შაქრების 91 %-დან 84 %-ით; ხოლო ნიმუშში 6 ეს მაჩვენებლები წარმოადგენილია შაქრების საერთო რაოდენობის 91 %-ის გლუკოზისა და ფრუქტოზის ჯამი 85%-ია.

8. ჩატარებული კვლევების შედეგად დადგინდა, რომ თბური დამუშავებით მიღებული ხურმის წვენი და მით უმეტეს მისი კონცენტრატი, შეიცავს ბუნებრივი შაქრების დიდ რაოდენობას, რომელშიც შაქრების ძირითადი წარმომადგენელია გლუკოზა და ფრუქტოზა. წვენებსა და კონცენტრატებში საქაროზა მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი. ის ნიმუშები კი რომლებიც არ დამუშავდა თბურად, შეიცავს შედარებით მეტი რაოდენობით საქაროზას.
9. ხურმის წვენებისა და კონცენტრატების პოლიფენოლური ნაერთები (მთრიმლავი ნივთიერებები) ჩასატარებელი ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით განიცდიან, როგორც რაოდენობრივ ისე თვისობრივ ცვალებადობას. ხურმის მასის თბური დამუშავება ამცირებს მისგან მიღებულ წვენში ხსნადი მთრიმლავი ნივთიერების შემცველობას, ხოლო ნარჩენ მასაში (გამონაწნეხში) მატულობს შეკავშირებული (უხსნადი) ნაერთების რაოდენობა, რაც განპირობებულია მეტწილად იმით, რომ ხსნადი პოლიფენოლური ნაერთები კავშირში შედიან პექტინოვან და ცილოვან ნივთიერებებთან.
10. შემუშავებული იქნა მცენარეული ნაყენების (ზაფრანა, ქონდარი, ქაცვი, კუნელი), ხურმის ბუნებრივი დამატკობლისა და ხურმის კონცენტრატის მიღების ტექნოლოგია და მათი გამოყენებით სადესერტო ლიქიორის დამზადების ტექნოლოგია. მიღებული იქნა სადესერტო ლიქიორი „პიკანტური“, რომელიც ხასიათდება მოყავისფრო მოწისფერში გარდამავალი ნარინჯისფერით. გემოსა და არომატზე სასიამოვნო, შოკოლადისა და კარამელის ტონებით, ხურმის ჩირისათვის დამახასიათებელი პიკანტური გემოთი.

დისერტაციის ირგვლივ გამოქვეყნებული შრომების სია

1. მ. არძენაძე, ა. კალანდია, ი. ჯაფარიძე, ი. ჩიქოვანი, ა. ჩალათაშვილი; **„სხვადასხვა ტექნოლოგიით მიღებულ ხურმის წვენებში შაქრებისა და მთრიმლავი ნივთიერებების გამოკვლევა“**; საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის შრომების კრებული; თანამედროვე მეცნიერება და ინოვაციური პრაქტიკა, ტომი II; ქუთაისი; 2018

2. A. Chalataashvili, M. Khositashvili, Tea Khositashvili, M. Gorgiladze, G. Buishvili; „Developing the technology of making the liqueur from various plant raw materials containingcrocin“; ejournal - European Researcher

3. მ. ხოსიტაშვილი, მ. გორგილაძე, ს. ჩალათაშვილი, ც. ომაყმაშვილი, გ. ბუიშვილი; „წვენებისა და ნაყენების მომზადება მცენარეული ნედლეულისგან“; დამხმარე სახელმძღვანელო; თბილისი; 2017.

LEPL Iakob Gogebashvili Telavi State University

With the right of manuscripts

Aleksandre Chalataashvili

**The production of dessert liquors using some medical plants
extended in Georgia**

